

გ. ვ. ფლოროვსკი

განხეთქილება და კავშირი

რატომ? ამბობს ცაბათ უფალი. იმიტომ, რომ მიგდებულია ჩემი სახლი, თქვენ კი ყველანი თქვენს სახლებზე ზრუნავთ. ¹

ანგია წინასწარმეტყველი, 1, 10

ახლა მიუტევე მათ ეს ცოდვა, თუ არა და, ამომშალე შენი დაწერილი წიგნიდან გამოსვლა, 32, 32

„რევოლუციის“ გრძელი ხანა რუსეთის იდეალი იყო. საზოგადოებრივი შეგნება „რევოლუციონერის“ სახეს პატრიოტის იმ უმაღლეს ტიპად მიიჩნევდა, რომელშიც ერთმანეთს შერწყმოდა სწრაფვათა ამაღლებულობა, ხალხის, უსახლკაროთა და დამაშვრალთა სიყვარული, საყოველთაო ბედნიერების საკურთხეველზე მსხვერპლად შეწირვა. განსხვავებულ ადამიანებს ამ ცნებაში რა ურთიერთსაპირისპირო - მონარქიულიდან ანარქიულამდე - შინაარსიც უნდა ეგულისხმათ, ერთი რამ აერთიანებდათ - იმის რწმენა, რომ ორგანიზებული საზოგადოებრიობა, ხალხის ჯანსაღი აზრი თუ „სიყვარულის დიდი საქმისათვის დახოცილთა“ უსაზღვრო თავდადება ნებისყოფას დამაბავს და რუსეთის კისერზე მოხვეული სოციალური და პოლიტიკური ბოროტების ყულფის გაწყვეტას შეძლებს, კულტურულ-საზოგადოებრივი ყოფის სრულყოფილ ფორმას დაამკვიდრებს. ეს საკუთარი თავის რწმენა, რწმენა საკუთარი შინაგანი არსების გამარჯვებულობის საზრისისა, შინაგანი მდგომარეობის ოდინდელი სიკეთისა ყველას აერთიანებდა - პირწავარდნილ ციმერვალდისტებსა ² თუ უგუნურ რექციონერებს. ერთნი ფიქრობდნენ, რომ აუცილებელი და საკმარისია შენიღბვა და „ევროპული სამოსის“ მორგება, მეორეთა აზრით, ნაჩქარევად მოსხმული დასავლური ტანსაცმელი უნდა ჩამოედღლიზათ, მესამეთ კლასობრივი გადაჯგუფება ეოცნებებოდათ. იმაზე მსჯელობდნენ, თუ ვის ერქვა ჭეშმარიტი ხალხი, თუმცა გულისგულში სუყველა „ხალხოსანი“ იყო: ყველას სწამდა მთელი ხალხისა თუ მისი რომელიმე ნაწილის მესიანური მოწოდებისა. მეტ-ნაკლებად ყველასათვის ახლობელი იყო გორკის „ლოცვა“: „ვიხილე ყოვლისშემძლე და უკვდავი ხალხი... და ვლოცულობდი: შენ ხარ უფალი ღმერთი და არა იყვნენ ჩემდა ღმერთნი უცხონი შენსა გარეშე, რამეთუ შენ ხარ ღმერთი სასწაულმოქმედი“ ³

და აი, ამ განწყობით შევხვდით და „მივიღეთ“ ომი და უტოპიური, „პროგრესული“ ჰუმანიზმის სათნო ფარგლებში მოვათავსეთ. კაცთმოდულება და მმათაკვლა აღქმულ იქნა „ადამიანთა უდიდესი რაოდენობის უდიდეს ბედნიერებად“, ხოლო დავალების მისნური წინააღმდეგობრიობა - ათასობით ადამიანთა დახოცვისა და ათასობით სიკვდილის ფასად იყიდო და უზრუნველყო სხვა ათასობით სიცოცხლე - იჩქმალეზოდა იმ ჰიპნოზისმომგვრელი სიტყვებით, რომ ეს - შინაგანი გადალაზვა,

უკანასკნელი ომი, ომი მშვიდობისათვის, „საყოველთაო განიარაღებისათვის“ - არის სამომავლო განწყობილების თვითამოწურვა.

მორალური აგზნებულობის სიმწვავეს - რომელიც ყველამ უნდა განვლო, ვინც კი მახვილს აღმართავს - პათოსის ფორმალური მოვალეობის სიბრტყეზე გადატანა აცხრობდა - სამშობლოსა და თანატომელების, კაცობრიობისა და ცივილიზაციის წინაშე. სჯეროდათ, რომ „ჯვარი და ხმალი - ერთია“, რომ ადამიანური ცხოვრების სტიქიის ... გაშიშვლებასთან ერთად მაგიურად დადგება გასხივოსნების პერიოდი. ომს თან მოჰყვება „მარადიული მშვიდობის“ ნეტარი ხანა... ადამიანები საკუთარ თავს იმდენად სრულყოფილებად აქცევენ, რომ მახვილისგან სახნისის გამოჰყდება შესაძლებელი გახდება. და ამ ... ოცნების ასახედნად ადამიანები სიხარულით მიდიოდნენ, რათა მოეკლათ და მომკვდარიყვნენ.

ამ ოცნების სახელით ოთხი წლის წინათ ჟღერდა „დიდსულოვანი და გულმოწყალე რევოლუციის“ საზეიმო ჰიმნები. და როცა ლეგენდით ცნობილი და გადმოცემით ძვირფასი „უსისხლო“ [მსხვერპლიდან], აგიზგიზებული კატასტროფის შავი, მხუთავი და მოხეტიალე ბოლქვებიდან თავხედურად იჩინა თავი გაძლიერებული რღვევის ეშმაურმა ნიშნებმა, როცა ვარდისფერ კვამლს მიღმა ყველას თვალწინ ქაოსი ატორტმანდა, საგონებელში ჩავარდნილი აზრი ალაპარაკდა რომელიღაც შეცდომებზე, ნაადრეობაზე, იდეათა ბუნდოვანებაზე, მასების გაუნათლებლობაზე, თუმცა რწმენა არ დაუკარგავს, რომ გამოსწორება იოლია და შესაძლებელი. და თითქოს, თავდაცვის მიზნით, მზერა გადაიტანა ყოფით კინკლაობაზე, სასურსათოთი დაწყებულ და ქაღალდის კრიზისით დამთავრებულ საკითხებზე, ოღონდ თვალი აერიდებინა უძირობაში საზარელი ვარდნისათვის, სულისა და სხეულის დაცემისათვის.

„იქ, სადაც სენი და სიკვდილი გძლევდა სიმარდით,
სად ულმოებელ გზის დაგმობას და გაქრობას ჩემობ,
გაუჩინარდი, იმ სივრცეში გაუჩინარდი,
რუსეთო ჩემო!“⁴

და რუსეთიც გაუჩინარდა... გაქრა არა მხოლოდ რუსული „სახელმწიფოებრიობა“, არა მხოლოდ მემკვიდრეობითი ყოფა - დაიმსხვრა ეროვნული ერთიანობა, ყველა სოციალური საყრდენი, და შეგნებაში ის მოხდა, რაც ძველად ბაბილონის გოდოლთან - ენათა შერევა. ისტორიული წყალვარდნილის ჩქერობებში ყოველივე ის მოექცა, რაც რუსეთს საუკუნეთა განმავლობაში აყალიბებდა, რაც იყო იგი, როცა პირველად გვიყვარდებოდა, თუმცა კი „უცნაური სიყვარულით“⁵.

ჩავცქერით „მდუმარე რუსულ სფინქსს“, ბაგეებზე რომ ბრძნული ღიმილი გადაჰკვრია, და უეცრად, ჩვენთვისაც კი მოულოდნელად ვჭვრეტთ „გათქვირებულ, საზარელ, უზარმაზარ, ასახიან მაყეფარ ურჩხულს“⁶ და - რაც უფრო საშინელია -

ვცნობთ მასში თავმოყრილ საკუთარ, ძველ, მამა-პაპის დროინდელ იმედებს. და რაც უფრო მეტად ვაკვირდებით ამ საშინელ გამოცანას, მით უფრო აშკარად ვგრძნობთ, რომ ამ ძველ ოცნებებს არც ჩვენს სულებზე დაუკარგავს ძალაუფლება, რომ ისევ გვჯერა, გვინდა, გვჯეროდეს „წარმატებული დასასრულისა“, „ბუნებრივი განვითარებისა“, მაღალ იდეალთა აღმშენებლური სიძლიერისა.

დიდმა კატაკლიზმმა გადახსნა ყველა ბზარი და ღიობი, პირველქმნილი სახეობები ზედაპირზე ამოტივტივდნენ, სიღრმეები განიხვნა... ჩვენ ვიგრძენით რუსული ნაციონალური სტიქიის გაორებულიობა... და ვიხილეთ ასეთი რუსეთი:

„დგახარ მდუმარე, და ერთია ავიც და კარგიც,

ჯვარედინ ძელთან, რომ მოითხოვს მოდრეკას მუხლის,

შენ აღარც *მხეცის* მძიმე კვერთხის აწევა ძალგიძს,

და აღარც ქრისტეს ტკბილი ტვირთის, მსუბუქი ულლის“⁷.

და დავინახეთ, რომ რუსეთი სწორედ ამ ორსახოვნების, ამ უსაზღვრობის გამო გვიყვარს, რომელშიც ორი - ქვედა და ზედა - უფსკრული ერთურთს შეთავსებია. და მძვინვარე ძალთა სტიქიური გაქანებით ატავისტურად მოხიბლულნი კვლავაც ძალას და დიდებას ვნატრობთ, ადამიანურ ძალას და დიდებას.

სიმართლე ის არის, რომ „გაუჩინარებული“ რუსეთი მყარად მდგარ და გადარჩენილ დასავლეთზე უფრო ძლიერი და წინასწარმეტყველურია. თუმცა უარყოფის სიმართლე ვერ გამოისყიდის მტკიცების შესაძლო სიცრუეს. „თეოდიცეის“ ავტორის⁸ ვარდისფერ ოპტიმიზმს სწორედ რომ საპირისპირო რამ ასაზრდოებს: ყველა მართალია მტკიცებისას, ცდებიან მხოლოდ უარყოფისას - ასე თქმა მხოლოდ მას შეეძლო, ვისაც საკუთარი ყოვლისშემძლეობის, თანდაყოლილი სიკეთისა სწამდა, ვისთვისაც ბოროტება შეცდომაა და არა - ცოდვა. რასაკვირველია, რევოლუცია არავის „მოუხდენია“, და მის საშინელებაში, მის უბედურებაში წილი არავის უდევს. ის თავისით მოხდა, უცილობლობამ შვა, როგორც წინარე რუსული ისტორიული პროცესის შედეგი. რევოლუციაში ყველაფერი შეუქცევადი, ბედისწერით დატვიფრულია. მაგრამ საიდან ამოიზარდა იგი: ჩვენი ხალხის კეთილი, კურთხეული, მარადიული, წმინდა სტიქიიდან, მისი „იდეიდან“, იქიდან, „რასაც უფალი მასზე მარადისობაში ფიქრობდა“, თუ სულიერი სიცრუიდან, ადამიანური ნების მიერ ჩვენი ისტორიული არსებობის საფუძვლად დადებული სიმრუდიდან?...

წარსულს მაშინ გავიგებთ და მყოლობადის ღირსნიც მხოლოდ მაშინ გავხდებით, როცა იგი ტკბილ ოცნებად კი არ გვექცევა, არამედ - მოვალეობად, როცა სასოება გმირობის წყურვილად გარდაიქმნება, როცა ჩვენი დროის ჩამუქებული, თითქმის აპოკალიპსური ატმოსფერო სულში ჩაგვიღვრის ჭეშმარიტი რელიგიური პათოსის,

„უფლის მომიშების“ ნაკადს - როცა ადამიანის უკანასკნელი ნება-სურვილის კოლიზიებისა და „დიდი უსახური არარას“, ბრმა fata-ს მიღმა შინაგანი გაორების ქრისტიანულ ტრაგიზმს შევიცნობთ: იმას არ ვაკეთებ, რაც მნებავს, არამედ, რაც მძულს, იმას ვაკეთებ⁹. როცა გავიგებთ, რომ მხოლოდ

„უფალს-შემოქმედს სამარადისოდ დავიწყნია მიწიერი ტანჯვა-წამება“¹⁰

„მონანიებას“ როდი ვგულისხმობ. რუსეთში ბევრს, ძალიან ბევრს, მეტისმეტად ბევრს, და ბევრჯერ მოუწიანია. და მონანიება იმდენად ჩვეული რამ გახდა, რომ იქცა პოზად, კარიკატურად, ამპარტავნულ თავის დამდაბლებად, სულიერი ხიბლის ამ ყველაზე ნატიფ და გამორჩეულ ფორმად. კურთხეული გარდასახვის ჩაუქ გამირობად კი არა, სტილიზებულ განწყობილებად მიგვაჩნია ჩვენი - და ამავე დროს, სხვათა - ცოდვების საერთო-სახალხო დათვლა და აღსარება; შენანების ღირსი კეთილი საქმეები კი იცვლებოდა თვითმგვემი და მამხილებელი ხმის მეტისმეტი დამაბულობით. დღეს საქმე ეხება არა ცოდვების დათვლას, არამედ იმას, რომ შეგვაძრწუნოს ჩვენს თვალწინ მომხდარმა ამბებმა, შევიგრძნოთ ყოფიერების ორმაგი იდუმალება, ჩავწვდეთ ბოროტებისა და ცთუნების რეალობას...

„წარმოიდგინე, რომ შენ თვითონ აგებ ადამიანთა ბედის შენობას, რათა ბოლოს გააბედნიერო ისინი, მიანიჭო მათ ნანატრი მშვიდობა და სიმშვიდე, მაგრამ ამისთვის უცილოდ უნდა აწამო ერთადერთი ციცქნა არსება, აი, ის ბავშვი, გულზე პატარა მუმტს რომ იზაგუნებს, და მის შეუმშრალ ცრემლებზე დააფუძნო ეს შენობა, - დათანხმდებოდი, ამ პირობებში ყოფილიყავი მისი არქიტექტორი?“ ასე ეკითხებოდა თავის თავს დოსტოევსკი, და ტანჯვით იკრუნჩხებოდა, ვერ შეეცნო და ვერ მიეღო სასტიკი სამყარო...

მაგრამ არა მხოლოდ ერთი ნაწამები ბავშვის ცრემლებზე, არამედ ცრემლისა და სისხლის მდინარეებზე არსდება და იგება „ადამიანის ბედის შენობა“, რუსული ბედის შენობა. გასისხლიანებული ხელებით იჭედება იქ, გაუდაბურებულ სივრცეში. ერთნი კლავენ. მეორენი კვდებიან. ყველა სიძულვილს მოუცავს. და ბედავენ კიდევ, საკუთარ სიძულვილს „წმინდა“ უწოდონ, ძველებურად ილაპარაკონ „მამულის სიძულვილის სიტკბოებაზე“... ყველა კლავს: ვინ სიტყვით, ვინ მზერით, ვინ მახვილით. სიყვარული არავისშია. და არც შედეგი ჩანს, რაკი გამოსყიდვის წყურვილი გამქრალა. ვიტანჯებით. ვტირით კიდევ; მწარედ და უნუგეშოდ. მაგრამ ჩვენი ცრემლი ჯერ ისევ გაბრაზებული ბაღლის ცრემლია, და არა კაცისა, პირისპირ რომ უცქერს „მეორე სიკვდილს“. თვითდაჯერებულებმა, მზად ვართ, „დიდი“ მიზნით გავამართლოთ ჩვენი უცვლელი საშუალებები - ძალზე მყარად გვწამს, რომ ჩვენი სიამაყე სავსებით გამქრალა. „გეოგრაფიული მამულის“ დაღუპვა ჩრდილავს ადამიანის სულის კვდომის შემადრწუნებლობას... საშინელება ის კი არ არის, რომ ხალხი კვდება, არამედ ის, რომ

ისინი ადამიანები აღარ არიან. და ამ თავზარდაცემიდან და ძრწოლიდან ერთადერთი გამოსავალია. ჩვენს გულებს მხოლოდ „დიდ რუსეთზე“ ფიქრი კი არ უნდა ათრთოლებდეს, არამედ უწინარეს და უპირველეს ყოვლისა - ბინდშეპარული რუსული სულის განწმენდა. არა ზვიადი წინასწარზრახვით, წინასწარმეტყველებით, ნაციონალური ძალის აზვირთებით მოგვრილი ნეტარებით, ხალხური სტიქიის ზეადამიანური ძლიერებისა და ძალაუფლების ჭკრეტით, არამედ ცრემლიანი მონანიებით და მხურვალე ლოცვით, ზეცით მოგვრილი კურთხეული შენდობით მოვიპოვებთ უფლებას, გვწამდეს, გვეიმედებოდეს, წინასწარვჭკრეტდეთ და მოვუხმობდეთ.

სოფია, 1921, 31. III

შენიშვნები:

გიორგი ფლოროვსკი (1893, ელისავეტგრადი (კიროვოგრადი), უკრაინა -1979, პრინსტონი, აშშ) - რუსი მართლმადიდებელი მღვდელი, პროტოპრესვიტერი, რელიგიური მოაზროვნე, ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, ეკუმენური მოძრაობის მოღვაწე და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ერთ-ერთი დამფუძნებელი, ევრაზიული მოძრაობის მონაწილე

1 ძველი აღთქმისეული ციტატა ანგია წინასწარმეტყველის წიგნიდან მოგვყავს საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოცემული ბიბლიის თანახმად

2 ციმერვალდი - სოფელი შვეიცარიაში, სადაც 1915 წლის 5-8 სექტემბერს მიმდინარეობდა სოციალისტური პარტიების მემარცხენე ინტერნაციონალურ უმცირესობათა კონფერენცია. მისი მიზანი იყო სოციალისტური მოძრაობის ყველა რევოლუციური ელემენტის გაერთიანება

3 ავტორი მაქსიმ გორკის „აღსარების“ რამდენადმე ტრანსფორმირებულ ციტატას იყენებს

4 ფრაგმენტი ანდრეი ბელის ლექსიდან „ფერფლი. რუსეთი. სასოწარკვეთა“ (თარგმანი ჩვენია, გ.ჯ.), რომლის დედანი ამგვარად იკითხება: Туда, - где смертей и болезней Лихая прошла колея, - Исчезни в пространстве, исчезни, Россия, Россия моя!

5 ავტორი უნდა გულისხმობდეს მ. ლერმონტოვის ლექსის „მამული“ პირველ სტრიქონს: „მიყვარს მამული, უცნაურად მიყვარს ოღონდაც...“ (თარგმანი ჩვენია, გ.ჯ.). ორიგინალი ასე იკითხება: Люблю отчизну я, но странною любовью!

6 ორიგინალშია: „Чудище обло, озёрно, огромно, стозёвно и лаяй“.

ეს გახლავთ ალექსანდრე რადიშჩევის 1790 წელს გამოქვეყნებული წიგნის „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“ ეპიგრაფი, რომელიც ფრთიან გამოთქმად იქცა და ამა თუ იმ

საზოგადოებრივი მოვლენისადმი მთქმელის უადრესად ნეგატიურ დამოკიდებულებას გამოხატავდა. რადიშჩევმა სახე უცვალა ვასილი ტრედიაკოვსკის (1703-1769) პოემა „ტელემაქიდას“ 514-ე სტრიქონს. თავის მხრივ, რუსი პოეტის პოემა თავისუფალი პოეტური თარგმანია ფრანგი მწერლის, ფრანსუა ფენელონის (1651-1715) პროზაული რომანისა „ტელემაქეს თავგადასავალი“. მაგრამ ფრაზის თავწყარო არა ფენელონის ნაწარმოებში, არამედ - ვერგილიუსის „ენეიდაა“.

7 ფრაგმენტი ვიაჩესლავ ივანოვის (1866-1949) ლექსიდან „შურისძიება მახვილით“ (თარგმანი ჩვენია, გ.ჯ.), რომელიც ორიგინალში ასე იკითხება: За то, что ты стоишь, немяя, У перепутного креста, Ни Зверя скиптр подъять не смея, Ни иго легкое Христа...

8 იგულისხმება გერმანელი ფილოსოფოსი გოტფრიდ ლეიბნიცი (1646-1716).

9 შდრ. მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 7,15

10 ფრაგმენტი ფიოდორ სოლოგუბის (1863-1927) ლექსიდან „ანგელოსთა დასები“, რომელიც ორიგინალში ასე იკითხება: У Творца-Владыки Вечное забвенье Всех земных страданий.